

## “Il Giardino di Alice”, საოჯახო თეატრალური ფესტივალი ბრუნდება ვიჩენცაში!

საოჯახო თეატრის მიმოხილვა- [Il Giardino di Alice](#)-, რომელიც ორგანიზებულია ვიჩენცაში დაფუძნებული კომპანიის ["exvUoto teatro"](#) მიერ, ვიჩენცას მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ბრუნდება ქალაქში. წელს მიმოხილვა მოიცავს 10 შეხვედრას: ჩვეულებრივ 6 კვირა დაეთმობა "Storie da Mangiare"-ს, რომელიც ჩატარდება სალვინის ბაღებში, დასაწყისი დილის 9:45 საათზე. ასევე, წელს ჩატარდება 4 უფასო ღონისძიება ქალაქის ცენტრიდან მოშორებით ახლომდებარე სათამაშო მოედნებზე, აღნიშნული ღონისძიებები გაერთიანდება ერთი სახელწოდების ქვეშ- "Storie di fuoco di acqua di terra e di vento"  
„ჩვენ გვსურს, რომ ჩვენი წინადადება სათემო თეატრის შესახებ გავავრცელოთ უბნებშიც, ჩავრთოთ მოსახლეობა, რომლებიც მოშორებით ცხოვრობენ ცენტრიდან” - აცხადებენ მიმოხილვის ორგანიზატორები, ტომასო ფრანჩინი და ანდრეა დელაი, exvUoto teatro-დან.

### Il Giardino di Alice: "ჩავრთოთ მოსახლეობა, რომლებიც მოშორებით ცხოვრობენ ცენტრიდან"

ორგანიზატორებს სჯერათ, რომ თეატრს ნამდვილად შეუძლია შეცვალოს ადამიანთა აღქმა და მათი თქმით, ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მთელი საზოგადოების მხარდაჭერით. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულია საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფორმულა. შედეგად ბევრმა კომპანიამ გადაწყვიტა ორგანიზატორ კომპანიასთან ერთად ჩაერთოს თეატრალური ფესტივალის პროცესში. თითოეული პარტნიორი ჩართული იქნება გასართობი წარმოდგენების/სპექტაკლის შექმნაში კვების მდგრადობის თემაზე, რომელსაც შემდეგ მოჰყვება შოუები. ამგვარად, Cereal Docks, Centro Ortodontico Vicentino და Birrificio Ofelia იზრუნებენ საინტერესო წარმოდგენების/სპექტაკლების შექმნაზე ბავშვებისთვის, რომლებშიც ჩაერთვებიან მშობლებიც. ALDA Europe -მ თანაკურატორობა გაუწია 18 აგვისტოს ღონისძიებას ვია რომას სათამაშო მოედანზე.

ზემოთაღნიშნულის გარდა, კიდევ ერთი შესანიშნავი სიახლე არის ის, რომ

კულტურის დეპარტამენტისა და ისტორიული პარკების ოფისის მხარდაჭერით, ბოლო წლების განმავლობაში Loggia Valmarana პირველად იქნება ღია საზოგადოებისთვის, რომელიც უმასპინძლებს მაყურებელს შოუების შემდეგ ან წვიმის შემთხვევაში.

„ნამდვილი სიამოვნებაა ოჯახებისთვის ბალისა და Loggia Valmarana -ს გახსნა, ადგილის, რომელიც შეიქმნა იმისთვის რომ უმასპინძლოს კულტურულ ღონისძიებებს და რომელიც ემზადება მაყურებლის დასახვედრად თეატრალური წარმოდგენებისთვის. მე ასევე ხაზს ვუსვამ, რომ ჩვენი შვილებისთვის კვების მდგრადობის მნიშვნელობის სწავლება ფუნდამენტური საგანმანათლებლო საქმიანობაა, განსაკუთრებით კლიმატის დიდი ცვლილების პერიოდში, როდესაც მოგვიწოდებენ მივიღოთ გარემოს მიმართ დამცავი ზომები ადრეული ასაკიდან” -ამბობს [მრჩეველი კულტურულ საკითხებში](#) სიმონა სიოტო.

[ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია \(ALDA\)](#) ძალიან მოხარულია, რომ არის "Il Giardino di Alice"-ის ადგილობრივი ღონისძიების მთავარ პარტნიორთა შორის, რომელშიც ჩართულია ოჯახები, ბავშვები, მოქალაქეები, ხელისუფლება და ყველა დაინტერესებული პირი ვიჩენცაში!

დაგეგმილი ღონისძიებები:

1. კვირა, 7 აგვისტო 9:45 საათი - სალვის ბალები- პიან დელ პორკოს სამი პატარა გოჭი( THE THREE LITTLE PIGS OF PIAN DEL PORCO) - საქანელების თეატრი - სპექტაკლი centro ortodontico vicentino-ს ორგანიზებით
2. ხუთშაბათი, 18 აგვისტო 18:00საათი - ვია რომას მოედანი - დედამიწის ისტორიები (STORIES OF EARTH) ანდრეა დელაის და ტომაზო ფრანჩინთან ერთად
3. კვირა, 21 აგვისტო, 9:45 საათი -სალვის ბალები - „ბებია! ცხოვრებისეული და სასიამოვნო ისტორიები”( GRANDMOTHER! LIVE - TASTE STORIES) - თეატრი 19 – სპექტაკლი ორგანიზებული ლუდსახარში ქარხნის „ოფელიას” მიერ
4. შაბათი, 27 აგვისტო 18:00 საათი - ვია გიურიატოს მოედანი - San Pio X - „ქარის ისტორიები”( STORIES OF WIND) მარტინა პიტარელოსთან და გაბრიელ გროტოსთან ერთად